

შპს ნამა 2024

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

მპს ნამა 2024

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-24	31-12-23
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები	4	23,130	6,265
ფული და ფულის ექვივალენტები		19,164	20,757
სავაჭრო მოთხოვნები	5	50,427	183,615
სასაქონლო მატერიალური მარაგები			
სხვა მიმდინარე აქტივები		610,710	32,667
სულ მოკლევადიანი აქტივები		703,431	243,304
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		2,453,509	1,845,424
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,453,509	1,845,424
სულ აქტივები		3,156,940	2,088,728
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები		55,478	70,471
სავაჭრო ვალდებულებები		14,556	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები	6	1,237,211	1,298,650
სესხები		1,237,211	1,298,650
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები		1,307,245	1,371,324
საწესდებო კაპიტალი		377,124	377,124
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		1,472,571	340,280
სულ საკუთარი კაპიტალი		1,849,695	717,404
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,156,940	2,088,728

დირექტორი :

გ.კანდელაკი

6. მზი



შპს ნამა 2024

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

მოგება-ზარალს და სხვა სრულ შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	7	1,742,200	797,188
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	8	(411,368)	(293,904)
საერთო მოგება		1,330,832	503,284
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(81,516)	(53,163)
ხელფასები და სხვა სარგებელი		(73,560)	(52,011)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი		(57,806)	(5,634)
სხვა შემოსავლები		246,419	88,680
სხვა ხარჯები		(43,220)	(17,797)
(ზარალი)/ მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		1,321,149	463,360
საპროცენტო შემოსავალი		-	613
საპროცენტო ხარჯი		(180,759)	(123,693)
მოგება საკურსო სხვაობიდან		-	-
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		1,140,390	340,280
ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში		-	(8,099)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		1,140,390	332,181

დირექტორი :

გ.კანდელაკი



შპს ნამა 2024

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ნამა 2024 დაფუძნდა 2023 წლის 15 მარტს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, გორი, სოფელი ვარიანი.

კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 417901523

კომპანიის 100% წილის მფლობელია ფიზიკური პირი: გიორგი კანდელაკი (პ/ნ 59001000989)

კომპანია ახორციელებს სასტუმრო და სარესტორნო საქმიანობას. კომპანიის ძირითადი მიზანია ტურისტული სერვისების განთავსებისა და კვების უზრუნველყოფა როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ვიზიტორებისთვის, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შემოსავლის სტრუქტურასა და სეზონურ დატვირთვებზე. სასტუმრო და რესტორანი მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვარიანში.

კომპანია საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი - გიორგი კანდელაკი.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.



ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე. მის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის. უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და

ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური საგალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი საგაჟრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და საბუშო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს,



ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10
მანქანა-დანადგარები	4-5
ოფისის აღჭურვილობა	3-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოხვედრა, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 მარაგები

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მისი საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიას გააჩნია როგორც მზა პროდუქცია, ასევე ნედლეული და ნახევარფაბრიკატები. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.



Handwritten signature in blue ink.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

3.4 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იხვერება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა.

3.5 სესხები

სესხების თავდაპირველი აღიარება ხდება მიღებული თანხით, რომელსაც აკლდება საკომისიო და სესხის აღების ტრანზაქციასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სესხების შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

3.6 შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიკვეთება კომპანიის მიერ გაცემული ყველაწიური ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. შემოსავალი არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციისას.



შპს ნაშა 2024

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (ლარი)

კომერციული შინაარსი.

3.7 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.8 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4 ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე. ასევე ყოველდღიური საქმიანობისთვის კომპანიას აქვს ფული სალაროში.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-24	31-12-23
ნაღდი ფული ეროვნული ვალუტაში	9,083	766
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	14,047	5,499
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	-
სულ	23,130	6,265

5 მარაგები



6. პომო

შპს ნამა 2024

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (ლარი)

კომპანიას გააჩნია ნედლეული და ნახევარფაბრიკატები.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

მარაგები	31-12-24	31-12-23
ნედლეული და მასალები	-	-
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	50,427	183,615
სულ	50,427	183,615

6 სესხები

2024 და 2023 წლების განმავლობაში კომპანიას ბანკიდან აღებული ჰქონდა სესხები, რომლის საბალანსო ნაშთები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

სესხები	31-12-24	31-12-23
ბანკიდან აღებული	1,237,211	1,298,650
სულ	1,237,211	1,298,650

7 შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს სარესტორნო ბიზნესი, მათ შორის ადგილზე მომსახურებისა და მიწოდების სერვისი.

2024 და 2023 წლების განმავლობაში დარიცხული შემოსავალი წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	1,742,200	797,188
		-
სულ	1,742,200	797,188

8 რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება



შპს ნამა 2024

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

2024 და 2023 წლების განმავლობაში დარიცხული რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	2024	2023
ძირითადი მასალის დანახარჯები	411,368	293,904
სულ	411,368	293,904

9 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს ოჯარის, კომუნალურ, საკონსულტაციო და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

2024 წლისთვის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2024
საკონსულტაციო ხარჯი	2,542
კომუნიკაციის ხარჯები	5,593
რემონტის ხარჯი	2,385
საბანკო ხარჯი	30,507
რეკლამის ხარჯები	1,877
კომპიუტერის ხარჯები	227
პროგრამული მომსახურების ხარჯი	6,936
საოფისე ინვენტარის ხარჯი	149
სხვა ხარჯები	31,300
სულ	81,516

10 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.

დირექტორი :

გ.კანდელაკი

